№ 57

წელიწადი მეორე — წელიწადი მეორე

მთავრობის მოამბე — ყოველდღიური გაზეთი

ფასი 50 კ.

საქართველოს რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 12 მარტი 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა"

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—120 მ. ნახევარი წლით—60 მ., ერთი თვით 10 მ. ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 12—42.

გაზეთ „საქართ. რესპ." ასოთ-ამწყობნი და მთავრობის სტამბის მომუშავენი

ღრმის მწუხარებით აუწყებენ ამხანაგთ, ნაცნობთ და მეგობართ ძვირფასი ამხანაგისა

გრიგოლ (გრიშა) სიმონის ძის კობიძის

სახადით გარდაცვალებას.

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სახელმწიფო თეატრი

— **ოპერა.** —

ს. ი. ევლახიშვილის დირექცია.

ოთხშაბათს,—საზანევას, სპიტკოს, მოროზოვას, მოლჩანოვის, ვრონსკის, ისეცკის, დემიანენკოს მონაწილეობით

„გეიშა"

ხუთშაბათს,—საზანეევას, სარაჯიშვილის, ინაევის, ისეცკის მონაწილეობით

„მანონი„

პარასკევს, მარტის 14-ს,

საალღუმო სპექტაკლი დამფუძნებელ კრების წევრთა პატივსაცემად

შულგინას, გრანელის, მოროზოვას, სარაჯიშვილის, ინაევის მონაწილეობით

„აბესალომ და ეთერი"

შაბათს,—შვამბერგის, იანსას, კანშინის, პოლიაევის მონაწილეობით

378 „ოტელლო" 1—1

კვირას, მარტის 16-ს, დილით

პიკის ქალი

საღამოს, საზანეევას, სარაჯიშვილის, ნიკოლსკის, ვრონსკის მონაწილეობით

ფაუსტი

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო იწვევს!

მოიჯარადრეთ ფოსტის ზიდვის საქმის ასაღებად შემდეგ პუნქტებ შუა: ბორჯომი-ახალციხე. ტფილისი—მანგლისი. ტფილისი-აღბულაღი. მცხეთა—ყაზბეგი. თელავი—თიონეთი. შულავერი-[illegible]. ბაშკიჩეთი—ეკატერინოვკა. ეკატერინოვკა—სანდარი. ქუთაისი—ონი—ცაგერი—ლეპანი. ქუთაისი—ხონი. ზუგდიდი—ოჩემჩირე და ზუგდიდ წალენჯიხას-შუა. დაწვრილებით ცნობების მიღება მსურველთ შეუძლია ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში 9-ან სამ საათამდე და აგრეთვე აღნიშნულ ადგილების ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა უფროსებთან.

ოლქის უფროსი **მგელაძე.**

კბილის ექიმი

ნ. მ. კაპანაძე

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7 ს. მისამართი: ვერის დაღმართი, № 1 ბინა 2[illegible] მელიქ აზარიანის სახლი.

გამოვიდა და იყიდება ჟურნალი

№ 7—8

„საქართველოს ეკონომისტი"

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

მიწათ-მოქმედების სამინისტროს უწყებისა.

14 თებერვალი 1919 წ.

№ 56.

ევალება: სასოფლო-სამეურნეო განყოფილების და სახელმწიფო განყოფილების მდივანს კ. რ. გოცირიძეს მიწათ-მოქმედების საბჭოს მდივნის თანამდებობის ერთდროული ასრულება 12 იანვრიდან 1919 წ.

18 თებერვალი 1919 წ.

№ 57.

დათხოვნილია თანამდებობიდგან და სრულიათ სამსახურიდგან: საქართველოს გამიჯვნის განყოფილების გამგე სამიჯნაო ინჟინერი ა. ვ. აოჟაოსკი გამიჯნველ განყოფილების რეორგანიზაციის გამო, საერთო წესით, სალიკვიდაციო ფულის მიღებით 1 მარტიდან 1919 წ.

დანიშნულ იქმნას: საქართველოს გამიჯნავების გამგეთ ქუთაისის სამიჯნაო ოლქის 1 ხარისხის მიწის მზომელი ვ. ს. გოგელიძე 1 მარტიდან 1919 წ.

ხელს აწერს მიწათ-მოქმედების მინისტრის ამხანაგი პ. **გელეიშვილი.**

19 თებერვალი 1919 წ.

№ 58.

ინიშნება: ვ. გ. კაკაურიძე ტყის გამგის თანაშემწის მეორე ხარისხის თანამდებობის აღმასრულებლათ.

21 თებერვალი, 1919 წ.

№ 59.

ინიშნებიან: ვ. ქ. ჯაფარიძე და ი. ვ. ჩინჩალაძე ტყის გამგეობის თანაშემწის მეორე ხარისხის თანამდებობის აღმასრულებლათ.

21 თებერვალი, 1919 წ.

№ 60.

წინანდლის სახელმწიფო-ეროვნული მამულის ყოფილი უფროსი მესარდაფე დავით კაკაბაძე, გადაყვანილი ამა წლის 1 იანვრიდან საქარის სანერგის მეღვინის თანამდებობაზედ, დათხოვნილ იქნას სამსახურიდგან 14 თებერვლიდგან უთხოვნოთ და ულიკვიდაციო ფულით უფროსთა განკარგულებების არ ასრულების და საგანგებო სარევიზიო კომისიისადმი შეუწყნარებელ თავხედ ყოფაქცევისთვის.

ხელს აწერს მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

22 თებერვალი, 1919 წ.

№ 61.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სპეციალისტი, წინანდლის სახელმწიფო ეროვნული მამულის მმართველის თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი ე. ქ. ნაკაშიძე განთავისუფლებულ იქმნას მმართველის თანამდებობის დროებით აღსრულებიდგან და დაინიშნოს იგი სახელმწიფო ეროვნული მამულების სექციის გამგის თანამდებობის დროებ. აღმასრულებლათ.

სახელმწიფო ეროვნული მამულების და სასოფლო სამეურნეო წარმოების სექციის გამგე აგრონომი ე. გ. რამიშვილი დანიშნულ იქმნას წინანდლის სახელმწიფო ეროვნული მამულის მმართველათ, სექციის გამგის თანამდებობისა და კლასის ჯამაგირის შენახვით.

24 თებერვალი, 1919 წ.

№ 62.

1) გამორიცხულ იქმნას სამსახურიდგან წინანდლის სახელმწიფო ეროვნული მამულის მმართველი მ. ე. პოპიჩი, მიწათ-მოქმედების სამინისტროსადმი ჩარიცხვით და ჯამაგირის შენახვით.

2) რ. გ. კორინთელი დანიშნულ იქმნას წინანდლის ეროვნული მამულის უფროს მესარდაფეთ 400 მან. თვიურ ჯამაგირით. ორივენი 25 თებერვლიდან 1919 წ.

27 თებერვალი, 1919 წ.

№ 63.

ინიშნებიან: 1) წინანდლის ეროვნული მამულის უმცროსი მეღვინე ვ. ი. ფისაკოვი ამავე მამულის უფროს მეღვინეთ, წინანდლის სარდაფის გამგის თანამდებობის დავალებით, 573 მან. თვიურ ჯამაგირით.

2) ნაპარეულის სახელმწიფო მამულის უფროსი მეღვინე მუშა ნ. დანმანი—იმავე მამულის უმცროს მეღვინეთ 455 მან. თვიურ ჯამაგირით. ორივენი 1 მარტიდგან 1919 წ.

27 თებერვალი, 1919 წ.

№ 64.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიათ განთავისუფლებული სამსახურიდან: სამიჯნაო განყოფილების საქმის მწარმოებელი დ. დ. ალბოვსკი მიწათ-მოქმედების სამიჯნაო განყოფილების რეორგანიზაციის გამო, საერთო წესით, სალიკვიდაციო ფულის მიღებით 1 მარტიდან 1919 წ.

დანიშნულ იქმნას: ყოფილი 1 ხარისხის მიწის მზომელი ს. ი. კლიმიევი მიწათ მოქმედების სამინისტროს სამიჯნაო განყოფილების საქმის მწარმოებლათ 1 მარტიდან 1919 წ.

ხელს აწერს მიწათ-მოქმედების
მინისტრის მაგიერ პ. **გელეიშვილი.**

28 თებერვალი, 1919 წ.

№ 65.

დათხოვნილ იქმნას სამსახურიდგან, თანახმად თხოვნისა, კახეთის სახელმწიფო მამულთა ექიმი ა. ა. ხოდნიოვი.

დანიშნულ იქმნას კახეთის სახელმწიფო მამულთა ექიმათ მ. ა. მაჭარაშვილი ძირითადი ჯამაგირით 583 მან. თვეში და დამატებით ეპიდემიის გამო 300 მან. თვეში. ორივენი 1 მარტიდან 1919 წ.

28 თებერვალი, 1919 წ.

№ 66.

დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან, თანახმად თხოვნისა, თევზთ ნადირობის კონსულტანტი ნ. სმირნოვი 20 იანვრიდან 1919 წ.

ხელს აწერს მიწათ-მოქმედების
მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

იუსტიციის სამინისტროს უწყებისადმი

8 მარტი, 1919 წ.

№ 67.

დაინიშნა: სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწე ქეთევან ისაკის ასული ჩიგოგიძე ბუჰგალტერის თანაშემწედ 1919 წ. მარტის 1-დან.

№ 68.

დაინიშნა: სამინისტროს კანცელარიის რეგისტრატორი ივანე ალექსის ძე ჟამუტაშვილი საქმის მწარმოებლის თანაშემწედ 1919 წ. მარტის 1-დან.

კანცელარიის დირექტორი
გ. ჟორდანია.

დღეს, რევოლიუციის ორი წლის თავზე გაიხსნება საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა.

საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმი

აცხადებს, რომ

პრეზიდიუმისა, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და მთავრობის მიერ შემუშავებულია შემდეგი პროექტი

საქართველოს დამფუძნებელ კრების

გახსნის წესრიგისა:

1) საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნა დანიშნულია ოთხშაბათს, ამა მარტის 12-ს სასახლის თეთრ დარბაზში.

2) სხდომა დაიწყება სწორედ შუადღის 12 საათზე.

3) დამფუძნებელ კრების პირველ სხდომას გახსნის უხუცესი წევრი შეკრებულთა შორის, ხოლო ყველაზე უმცროსი მდივნის მოვალეობას აღასრულებს.

4) ამის შემდეგ არჩეული იქნება თავმჯდომარე დამფუძნებელ კრებისა.

5) თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ გამოცხადებული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც დამფუძნებელ კრების წევრნი ხელს მოაწერენ.

ამით დამთავრდება პირველი სხდომა.

არა ოფიციალური განყოფილება

ბრწყინვალე დღე.

ისტორიამ ნაკლებათ იცის ასეთი ბრწყინვალე დღე,—იგი ძუნწია და უფრო შავი დღეებით ითვლის თავის გზას.

მაგრამ დღევანდელი ბრწყინვალე დღე გამოვგლიჯეთ მას ხელიდან. დღეს ბრწყინვალე დღეა. შარავანდით მოსილი დღეა.

დღეის დღეს გადაიშალა ის დიდი ენერგია, რომელიც რუსეთის თვითმპყრობელობის მძიმე მუხრუჭებში იყო გამომწყვდეული.

დღევანდელ დღეს განერთხო ხალხის ნებით განგმირული რუსეთის თვითმპყრობელობის ორთავიანი არწივი,—და

გასწორდა წელში ხალხი. აღიმართა დიდი რევოლიუცია, რომლის ძლიერი დუღილი დღესაც არ შეწყვეტილა. გაიზარდა, ფრთა გაშალა თავისუფლებამ,—ატორტმანდა განთავისუფლებული ქვეყანა. აბორგდა რევოლიუციის ტალღები და საქართველო მამაცათ ჩაება ტალღათა ბრძოლაში.

რევოლიუციას ყველასათვის მოქონდა თავისუფლება. არავისთვის არ შურდა განათებული დღეებით შეეცვალა წარსული ღამეები. და ყველას უნდა შესძლებოდა მით სარგებლობა. მაგრამ რევოლიუციის სრბოლვაში იშვა მღვრიე ანარქია, რომლის შავმა ტალღებმა დასტეხა დემოკრატიის ბერკეტი, და მხოლოდ საქართველოს დემოკრატიამ შესძლო თავისუფლების სადარაჯოზე დარჩენა და აქედან ბრძოლის წარმოების გაგრძელება.

და ეს იმიტომ, რომ საქართველოში ბატონობდა განვითარებული, პოლიტიკური დემოკრატია.

დიდი რევოლიუციის დიდი რევოლიუციონური ამოცანა—დემოკრატიის ბატონობა და დემოკრატიის სრულყოფა,—მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში იქნა მიღწეული და როდესაც საქართველოს დანარჩენი რუსეთი მოსწყდა ისტორიულ ლოღიკის წყალობით,—მაშინ საქართველომ თვით მიმართა თავისი მარჯვე ხელით პოლიტიკური საჭე და მან მაისის აქტით, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით გამართა ის დიადი ხაზი, რომელზეც იგი ისტორიის კანონმა დააყენა.

ამ ბრწყინვალე დღიდან, დღიდან საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოცხადებისა,—საქართველოს ხალხი მიუძღვის თავის თავს, მიუძღვის მიზნის და საქმის სიდიადით აღჭურვილი შეგნებით.

იგი ქმნის საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოს, ამტკიცებს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მით ასრულებს დიდი რევოლიუციის დიდ მიზანს.

26 მაისიდან თავგამოდებით მუშაობს საქართველო: მუშაობს გონებით, ცოდნით, მუშაობს იარაღით ფიზიკურათ.

მრავალმა ჯარმა გადაიარა მის თავზე, მრავალი ქარტეხილი მოასკდა მის კედლებს,—მაგრამ ჯერ კიდევ სუსტმა სახელმწიფოებრივმა შენობამ გაუძლო ყველა უბედურებას და ყოველმხრივ ბრძოლის საშინლებიდან გამოიტანა თავისი თავი.

გამოვიდა გამარჯვებული.

და ამ ბრწყინვალე გამარჯვების გვირგვინია—საქართველოს დამფუძნებელი კრება.

მაგრამ ბევრი ვერ მოესწრო ამგვარ დღეს.

ბევრი ისტორიამ ულმობელათ უფსკრულს გადასჩეხა და მისი ხსოვნაც გააქრო მხოლოდ ძლიერნი, განვითარებულნი, სიცოცხლის უნარიანები შერჩნენ კაცობრიობას,—და მიიკვლევენ გზას მომავლისაკენ. თვით დიდ რუსეთში ვერც ერთმა ერმა ვერ შესძლო თავის თავის ნახვა: ანარქიის თუ სხვა მძიმე პირობების წყალობით ჯერ ჯერობით არა სჩანან ისინი.

საქართველომ შესძლო დამფუძნებელი კრების მოწვევა და მუშაობის დაწყება.

საქართველომ გაიმარჯვა და ამ გამარჯვებას დღეს ხელს აწერს მთელი ერი.

დღეს საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომაა! ეს უდიდესი და უმნიშვნელოვანესი დღეა!

ეს ზეიმის დღეა!

ეს დღეა, როდესაც აღინიშნება საქართველოს სიცოცხლის უნარი,—საქართველოს სახელმწიფოებრივი გამჭრიახობა.

დღეს მოვიდა საქართველოს ბატონი—დამფუძნებელი კრება. დღეს შეუდგება იგი საქართველოს სახელმწიფო გემის მართვას და გვწამს, რომ შესძლებს იგი აფორიაქებულ, ატალღებულ და ამთაგორებულ ცხოვრებიდან ქვეყანა კვლავ გამარჯვებული გამოიყვანოს.

საქართველოს დამფუძნებელი კრება გაიხსნება დღეს!

საქართველოს ზებატონი იტყვის თავის მტკიცე სიტყვას, გააკეთებს სამომავლო ბრწყინვალე საქმეს!

გაუმარჯოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას!

შინაგან საქმეთა სამინისტროში

ლეკების მოქმედების შესახებ.

მაზრის კომისარი სიღნაღის რაიონისა ბალაშვილი დეპეშით ატყობინებს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ცნობები ვითომ ზაქათალის ლეკები ამწვავებენ ურთიერთ დამოკიდებულებას გამოკვლევით არ დამტკიცდა.

ალაგირის ქართველების შუამდგომლობა

რწმუნებული ალაგირის ქართველობის ახალშენისა სთხოვს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ალაგირის ქართველობის ბედის შესამსუბუქებლათ, დაუყოვნებლივ გაიგზავნოს სპეციალურათ საგანგებო რწმუნებული, რომელიც დაწვრილებით გაეცნობა ამ ქართველების ნამდვილ მდგომარეობას, რომელნიც ფიზიკურათ და მატერიალურათ დაზარალდენ უკანასკნელ ოსთა თავდასხმის შემდეგ, გამოარკვევს ზარალის რაოდენობას და საჭირო დახმარების რაოდენობას. მინისტრთა თავმჯდომარემ ეს თხოვნა დასასკვნელათ გამოუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს.

კომისარის არჩევა.

ყაზბეგიდან შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო ყაზბეგის რაიონთა მცხოვრებთა კრების თავმჯდომარის ი. ლუდუშაურისაგან: გაუწყებთ, რომ 10 მარტს შესდგა კრება ყაზბეგის რაიონის მცხოვრებთა შესახებ ადგილობრივ კომისრის არჩევისა. კრებამ ისევ ძველი კომისარი ალ. ფიცხელაური აირჩია, როგორც სამშობლოს მოღვაწე.

სამაზრო მილიცია და რკინის გზის მილიცია.

გზათა სამინისტრომ გამოუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრს რკინის გზის მილიციის უფროსის შუამდგომლობა, რომელიც თხოულობს, რომ სამაზრო მილიცია რკინის გზის მილიციის საქმეებში არ ერეოდესო. გზათა სამინისტრო შესაფერ განკარგულების ბოძებას სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს.

თიანეთის მაზრის მდგომარეობა.

თიანეთის სამაზრო კომისარმა მოახსენა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ყოფილ ადმინისტრაციის ბოროტ მოქმედების გამოსარკვევათ ადმინისტრატიული გამოძიება უკვე სწარმოებს. ხალხი ნელ ნელა ერკვევა ბნელი ძალების პროვოკაციისაგან. გარდა ამისა კომისარი ატყობინებს, რომ მაზრა უექიმოთ არის დატოვებული და 1 თებერვლიდან დანიშნული ექიმი ჯერაც არ გამოცხადებულაო.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში

გადასახადების შესახებ.

მიწათ მოქმედების სამინისტრომ აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ თანახმათ გორის მაზრის ს. საღვლის მცხოვრებთა გ. მ. და გ. ი. ამირეჯიბისა ადგილობრივი გლეხები არ ანებებენ მათ რესპუბლიკის კანონით მინიჭებულ მიწის ნორმას, რომ გლეხებსვე არ შეაქვთ 1917 და 1918 მათ მიწების გადასახადი. სამინისტრო სთხოვს შინ. საქ. მინ. დირექტორს მოახსენოს მინისტრს ეს ამბავი და უბოძოს განკარგულება, რომ ეს პირნი მათ მიწის მფლობელობაში იყვნენ შეყვანილნი და აიძულონ გლეხები მიწების სარგებლობაში საჭირო გადასახადების შეიტანონ.

გზათა სამინისტროში

გზათა სამინისტროს ლიკვიდაცია.

გუშინ დილიდან გზათა სამინისტროს ლიკვიდაციის გამო ეს დაწესებულება შეუერთდა რკინის გზის გამგეობას და მის ბინაზე გადავიდა. სამინისტროს შტატში 10 მოსამსახურე დარჩა.

სახალხო განათლების სამინისტროში.

სახადთან ბრძოლის შესახებ.

სახალხო განათლების სამინისტრომ ცირკულიარი დაუგზავნა საშუალო და სახალხო სკოლების ინსპექტორებს, რომ თანახმათ ექიმების დადგენილებისა სასწავლებლებში ზომები უნდა იქმნეს მიღებული ეპიდემიის წინააღმდეგ. ამავე ცირკულიარით აღკრძალულია სასწავლებლებში საღამოები და წარმოდგენები მანამ, სანამ სახადიანი ავათმყოფობა არ მოისპობა.

გარეშე საქმეთა სამინისტროში.

კინომატოგრაფიის მუშაობის შესახებ.

საფრანგეთის კონსულმა აცნობა საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ საზოგადოება „ფილმა“-ს აქვს განზრახვა დაარსოს ფირმა ტფილისის სურათების გადასაღებათ, რომლის მიზანი იქნება პროპაგანდა საფრანგეთში ინგლისსა და შეთანხმების სხვა სახელმწიფოებში.

ამ მიზნისთვის „ფილმის“ საზოგადოება სთხოვს მინისტრს უბოძოს ნებართვა ტფილისისა და მის მიდამოების სანახაობის კინემატოგრაფიულ სურათების გადასაღებათ.

დაპატიმრებულის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის სომეხთა მისიის გამგე თუმანიშვილი სთხოვს საგარეო საქმეთა მინისტრს, აცნობოს რაში ედება ბრალი პატიმარ გარიბოვოს, რომელიც გორში იყო დაპატიმრებული

ფოსტა-ტელეგრაფი

7 ამა მარტს განახლდა ფოსტა-ტელეგრაფის ოპერაციები ახალციხის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

იუსტიციის სამინისტროს მოღვაწეობა.

მოკლე ანგარიში იუსტიციის სამინისტროს მოღვაწეობისა დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა დამფუძნებელ კრების მოწვევამდე (1918 წ. მაისის 26-ს 1919 წ. მარტის 12-ს).

დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკას მიზნადა ჰქონდა დასახული, პირველ ყოვლისა, საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება, სახელმწიფოში წესიერების დამყარება, ცხოვრების ჩვეულებრივს კალაპოტში ჩაყენება და რევოლიუციის მონაპოვარ დემოკრატიულ წესწყობილების უფლებრივ ნორმებში ჩამოყალიბება.

იუსტიციის სამინისტროს მიზანსაც შეადგენდა ზრუნვა დარღვეულ ნორმალურ წესწყობილების აღდგენისათვის, ცხოვრებაში უფლებრივ პრინციპის განმტკიცებისათვის და სასამართლოს დემოკრატიულ ნიადაგზე გარდაქმნისათვის.

ამისდა მიხედვით, სამინისტრომ შეძლებისდაგვარად განახორციელა შემდეგი:

1. გააუქმა ყველა განსაკუთრებული და საგანგებო, შემთხვევით აღმოცენებული სასამართლო და საგამომძიებლო დაწესებულებანი, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ გარანტიას სწორ მართლმსაჯულების წარმოებისას. სამინისტროს ინიციატივით გაუქმდა რევოლიუციური ტრიბუნალები, ყოველგვარი საგანგებო საგამომძიებლო კომისიები, ჩამოერთვა სამოსამართლო ფუნქციები სხვა და სხვა აღმასრულებელ კომიტეტებს და საერთოდ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ყველა ამ ღონისძიებას შედეგად მოჰყვა ის, რომ რევოლიუციის პირველ ხანებში სრულიად დარღვეული და შეჩერებული საქმიანობა სასამართლოს აპარატისა მოწესრიგდა, სახელმწიფოს სხვა მხარეებთან შედარებით მაინც ნორმალურს კალაპოტში ჩადგა.

2. უდიდესი ყურადღება ჰქონდა მიქცეული სასამართლო უწყების დემოკრატიულ ნიადაგზე გარდაქმნას იურიდიულ მეცნიერების მიერ მიღებულ დებულებათა საფუძველზე და განათლებულ ქვეყნების პრაქტიკის მიხედვით.

ეს რეფორმები არის: არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შემოღება, საგამომძიებლო ნაწილის რეორგანიზაცია სასამართლოს გამომძიებელთა დამოუკიდებლობის განმტკიცების ნიადაგზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება, უზენაეს საკასაციო სასამართლოს დაწესება, ყოველგვარ წოდებრივ სასამართლოთა მოსპობა და სხვა.

ჩამოთვლილ რეფორმათაგან:

ა) **მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის** გარდაქმნის კანონი უკვე მიღებულია პარლამენტის მიერ 1918 წ. სექტემბრის 24-ს. ახალის კანონით სასამართლო დაუახლოვდა ხალხს და ხალხი სასამართლოს. უბნის მომრიგებელ მოსამართლეთა კამერათა რიცხვი მთელს საქართველოში კანონმა 120-ით განსაზღვრა, მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის რიცხვი-კი-II-ით. ამით დიდად დაუახლოვდა ხალხს, წინანდელთან შედარებით, ტერიტორიალურად როგორც პირველი, ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ინსტანცია სასამართლოსი, დაუახლოვა სასამართლო არსებითადაც, მომრიგებელ მოსამართლეთა შემადგენლობის მხრივ, რადგან მოსამართლეთ ირჩევს ადგილობრივი თვითმართველობა, დემოკრატიული მაზრის ერობა და ქალაქის საბჭო.

ახალმა კანონმა არ დასჩაგრა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობანიც. ფართო უფლებები მიანიჭა მათაც: ეს უფლება იქამდის მიდის, რომ სადაც ეროვნული უმცირესობა უბანში უმრავლესობას შეადგენს, საქმე უნდა სწარმოებდეს როგორც სახელმწიფო, ისე ეროვნულ უმცირესობის ენაზე, გარდა ამისა, ეროვნულ უმცირესობას-იქ სადაც ის უბნის მოსახლეობის 20°/₀-სუდრის- უფლება აქვს მინიჭებული სასამართლოში თავისს ენაზე დაწერილი თხოვნა შეიტანოს, ამავ ენაზე მოითხოვოს საქმიდან ქაღალდების პირების მიცემა.

ბ) **არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის** შემოღებით მოისპო სხვა და სხვა წოდებრივი სასამართლო, კერძოდ სოფლის ეგრედ წოდებული საგლეხო სასამართლოები, რომელთა საქმიანობა ყოველგვარ უკანონობით, მექრთამეობით და უსამართლობით ხასიათდებოდა.

მომრიგებელი მოსამართლენი ახალის წესით უკვე არჩეულნი არიან ქ. ტფილისში, ქუთაისში და ფოთში, აგრედვე ზოგიერთ მაზრებში. სხვა მაზრებიდან მოსულ ცნობების მიხედვით, მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა თითქმის ყველგან დამთავრდება მარტის განმავლობაში.

გ) **საგამომძიებლო ნაწილის რეფორმა** უკვე განხორციელებული და ცხოვრებაში გატარებულია, მთელის საქართველოს ტერიტორიაზე. წინანდელი ინსტიტუტი უფლებაშეზღუდულ მომრიგებელ მოსამართელთა თანაშემწეებისა შეცვლილია კანონის მიერ დაწესებულ სასამართლოს გამომძიებლებით, რომელთა საქმიანობას როგორც საერთოდ სასამართლოს საქმიანობას, მართალია, ჯერჯერობით დიდად აფერხებს ადმინისტრატიული მექანიზმის მოუწყობლობა, მაგრამ რომელთა საქმიანობამ მაინც საკმარისი ნაყოფი გამოიღო, დიდად ხელი შეუწყო სახელმწიფოში წესიერების დამყარებას, მართლმსაჯულების იდეის განმტკიცებას.

სასამართლოს გამომძიებელთა რიცხვი მთელს საქართველოში ახალის კანონით უდრის 65-ს, წინანდელის 41-ის ნაცვლად.

დ) **ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების** კანონი დამტკიცებულია პარლამენტის მიერ და უკვე გაცემულია განკარგულება, რათა ქალაქის თვითმართველობათაგან და მაზრის ერობათაგან დროზე შედგენილ იქმნას ნაფიც მსაჯულთა საერთო სიები და წარედგინოს სათანადო ოლქის სასამართლოებს. უკეთუ ეს დავალება ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოთა მიერ დროზე და სათანადოდ იქმნება შესრულებული, სულ ახლო მომავალში განხორციელდება ქართველი ერის უდიდესი ზრახვა—ჩვენი ქვეყანაც ეზიარება კულტუროსან ერთა მიერ საუკეთესოდ აღიარებულ სამართლის ფორმას—ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

ე) **უზენაეს საკასაციო და კანონთ-მცველ დაწესებულების—სენატის** დებულების კანონპროექტი შემუშავდა და ყოველმხრივ იქმნა განხილული სამინისტროსთან დაარსებულ რამდენსამე კომისიაში, რომლებშიაც მონაწილეობდენ, სხვათა შორის, პარლამენტის იურიდიულ კომისიის წევრნი, და უკვე წარედგინა რესპუბლიკის მთავრობას. პროექტით წინდახედულ სენატის სახით საქართველოს მოევლინება უზენაესი დაწესებულება არა მარტო სასამართლოს დარგში, არამედ კანონთ-მცველი ორგანო სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სფეროშიაც, საიმედო დარაჯი კანონიერებისა ყველა დაწესებულებათათვის.

(დასასრული იქნება).

ქალაქის საბჭო

ორშაბათს, 10 მარტს, ა. ს. ლომთათიძის თავმჯდომარეობით ქალაქის საბჭოს მორიგი კრება შესდგა.

უპირველესათ საბჭომ დაადგინა 12 მარტს დამფუძნებელ კრების გახსნის გამო ამ უმაღლეს კრების პრეზიდიუმს მილოცვის დეპეშა გაუგზავნოს.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ საბჭოს მოახსენა ქალ. ტფილისის მომრიგებელ უბნებზე განაწილების შესახებ. ამ უბნების საზღვრების აღნიშვნის უფლება საბჭოს ეკუთვნის. ამ საგანზე მოსალაპარაკებლად 9 მარტს მოწვეულნი იყვნენ საბჭოს მიერ ამორჩეულნი მომრიგებელი და საპატიო მოსამართლენი, რომელთაც ამოირჩიეს კომისია ტფილისის მომრიგებელ უბნებზე გაყოფის პროექტის განსახილველად. ეს პროექტი იუსტიციის სამინისტროს მიერ არის შედგენილი და დასახელებულ კომისიის მიერ მოწონებულია. საბჭომ ეს პროექტი იურიდიულ კომისიას გადასცა დასასკვნელათ.

ქალაქის გამგეობამ საბჭოს მოახსენა, რომ მის ნებართვით გამგეობას სხვა და სხვა დროს აუღია თამასუქებით მოკლე ხნიანი სესხი სულ 5 მილიონამდე და რადგანაც გამგეობამ ვერ შესძლო თავის დროს სარგებლების შეტანა ამჟამათ ეს სარგებლები შეგროვდა ნახევარ მილიონზე მეტი და ბანკები კმაყოფილებას აცხადებენ ფულის მაგივრათ სათანადო თანხის თამასუქების მიღებას. ამგვარათ 5 მილიონ სესხს უახლესხოთ მოემატება 5 მილიონზე მეტი. საბჭომ დაადასტურა ეს წინადადება გამგეობისა.

დღიურ წესრიგის მიხედვით საბჭომ განიხილა თავის რეგლამენტის პროექტი და დაამტკიცა, მხოლოთ სარედაქციო შესწორების შესატანათ ამოირჩია მცირე რედაქციული კომისია და დაავალა მას ერთ კვირის განმავლობაში რეგლამენტის განხილვის დამთავრება. ამ კომისიაში არჩეულ იქნენ ხმოსნები ვარ. ბურჯანაძე ივ. გომართელი და არ. ჯაჯანაშვილი.

გამგეობის მოხსენებისამებრ საბჭომ დაადასტურა 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში დამატებით შეიტანოს 123,000 მან., რომელიც გამგეობას დაუხარჯია წყლის უქონლობის გამო გამოწვეულ მწვავე კრიზისს.

გამგეობის მოხსენებისამებრ საბჭომ გაანთავისუფლა დაშავებულ მხედართა კავშირის სასადილო ხატრაქტირო გადასახადისაგან.

საბჭომ გაანთავისუფლა გადასახადიდან 23 თებერვალს არტისტიულ საზოგადოებაში ლტოლვილთა სასარგებლოთ გამართული საღამო და 14 თებერვალს ბრმათა სკოლაში გამართულ საქველმოქმედო საღამო.

გამგეობის მოხსენებით დროებითი მთავრობის ბინების და სხვა სადგომების კანონპროექტის შეცვლის შესახებ საბჭომ მსჯელობა გადასდო.

თათრულ ნაციონალურ საბჭოს საქართველოში თხოვნა სამი წარმომადგენელის ყოლის შესახებ ქალაქის საბჭოში კოოპტაციის სახით საბჭომ დაადგინა გადასცეს იურიდიულ კომისიას.

გამგეობის მოხსენებისამებრ საბჭომ დაამტკიცა ტფილისის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების ხარჯთაღრიცხვა, რომელიც შეადგენს 45,040 მან.

რამოდენიმე საქმე საბჭომ გადასცა სხვა და სხვა კომისიებს. მათ შორის არც ერთი საქმე არ არის საყურადღებო.

საბჭომ ამ საღამოზე სულ საათ ნახევრის განმავლობაში ოცდაათამდე წვრილმანი საქმეები განიხილა და საღამოს 10 საათზე სხდომა გათავდა.

ვაჭრების საყურადღებოთ

ამერიკის გემი ვესტმაუნტი, რომელიც ამჟამად ბათუმში დგას, გაემგზავრება ბათუმიდან ამერიკაში ამა წლის მარტის 20 ს. კავკასიელმა ვაჭრებმა, რომელთაც სურთ განაახლონ სავაჭრო დამოკიდებულება თავის აგენტებთან ამერიკაში ან ევროპაში, საქონლის გაგზავნის ან მიღების მიზნით, უნდა მიმართონ კაპიტან რედფერნს, რომელიც ცხოვრობს ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების გემზე ვესტმაუნზე ქ. ბათომის პორტში.

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობა პურის თესლეულობის კორპორაციის საშუალებით იმოქმედებს როგორც შუამავალი საქონლის განაღდებაში და გაყიდვიდან მიღებულ ფულს სესხათ შეინახავს, ევროპის ან ამერიკის კრედიტით ყიდის სხვა დასხვა საქონელს სპეციფიკაციის მიხედვით და უზრუნველ ჰყოფს ამ საქონლის გამოგზავნას ამერიკიდან შავი ზღვის პორტებში.

კაპიტანი რედფერნი იქნება ტფილისში მარტის 13-ს. მისამართი: ველიამინოვის ქ. № 15, ამერიკელ კონსულის ყოფილი ბინა.

ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნების შედეგი

ქალაქის გამგ. სოც.-დემ. № 1 მიიღო 566, ნაც.-დემ. № 2—369, სოც. რევ. № 3—54, ეროვ. პ. № 4—12, სოც.-ფედ. № 5—254, მაზვრ. № 6—34.

ჰომა—№ 1—164, № 2—62, № 3—6, № 4—4, № 5—38 № 6—20.

ზედა საფიჩხია № 1—381, № 2—13, № 3—7, № 4—0, № 5—42, № 6—1,

რეალ. სასწავლებ. № 1—921, № 2—437, № 3—25, № 4—19, № 5—215, № 6—20.

ს. სასამართლო. № 1—243, № 2—104, № 3—50, № 4—0, № 5—73, № 6—10.

მესხეთის ქუჩა № 1—919, № 2—247, № 3—25, № 4—14, № 5—199, № 6—14,

ჭავჭავაძის ქუჩა—№ 1—946, № 2—611, № 3—29, № 4—28, № 5—327, № 6—65.

ორპირის ქუჩა —№ 1—692, № 2—202, № 3—15, № 4—2, № 5—120, № 6—6.

არქ. გორა—№ 1—285, № 2—67, № 3—7, № 4—7, № 5—160, № 6—13.

ეპარქ. სასწ. № 1—428, № 2—156, № 3—12, № 4—6, № 5—72, № 6—29.

ქვედა საფიჩხია—№ 1—357, № 2—183, № 3—7, № 4—6, № 5—166, № 6—31.

მწვანე ყვავ.—№ 1—351, № 2—104, № 3—22, № 4—4, № 5—24, № 6—11.

სულ. № 1—6003, № 2—2555, № 3—259, № 4—114, № 5—1690, № 6—254.

ამის მიხედვით № 1 გაიყვანა 34 ხმოსანი, № 2—14, № 3—1, № 4—1, № 5—9, № 6—1.

მუნიციპალური ცხოვრება

სასკოლო კომისიაში.

საბჭოს სასკოლო კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ვარ. ბურჯანაძე და მის ამხანაგათ ივ. გომართელი.

სატეხნიკო კომისიაში.

საბჭოს სატეხნიკო კომისიის თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ინჟენერი კანდელაკი.

უარი თანამდებობაზე.

ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთ ბ-მა კოკაშვილმა საბჭოს თავმჯდომარეს განუცხადა უარი ამ თანამდებობის მიღებაზე.

სახადი.

ქალაქის მედიკო-სასანიტარიო ბიუროს მიერ მიღებულ ცნობებში მარტის პირველ კვირის განმავლობაში ქალაქის საავათმყოფოებში მიუყვანიათ **453** სახადით ავათმყოფი, ამავე ხანში გამოუწერიათ 273 სახად ნახადი და 31 მომკვდარა. საპატიმროს ქსენონში მიუყვანიათ 10 სახადიანი, 7 გამოუწერიათ და 1 მომკვდარა. თავის ბინებში სახადით ახლად ავად გამხდარი ამ კვირის განმავლობაში სულ 101 კაცი მოჰყოლია რეგისტრაციას. მარტის 10 რიცხვში ქალაქის საავათმყოფოებში იმყოფებოდა სულ 1207 სახადით ავათმყოფი.

ახალი ხარჯი.

საბჭოს საბიუჯეტო საფინანსო კომისიამ დაადგინა ტრამვაის მოსამსახურეებს დაენიშნოთ ჯამაგირზე მე-7 ზედ დამატება, სულზე 250 მან. თვეში. ეს ახალი ხარჯი წელიწადში შეადგენს ოთხ მილიონზე მეტს.

ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.

ხუთშაბათს, 13 მარტს დანიშნულია შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და საბჭოს საბიუჯეტო საფინანსო კომისიისა ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობის განსახილველათ.

შემოწირულება ჯარისათვის.

სამხედრო სამინისტრომ სუხუმის სტუდენტების საზოგადოებისაგან მიიღო მათ მიერ 25/12 იანვარს გამართულ საღამოდან წმინდა შემოსავლის ორმოცდა ათი პროც. (50°/₀) ომში დაჭრილ ქართველ მეომრების სასარგებლოთ ექვსი ათასი მანეთი 6000 მან.

სამხედრო სამინისტრო უღრმეს მადლობას უძღვნის ზემო აღნიშნულს საზოგადოებას.

უცხოეთი

(საქ. დე. სააგ.)

გერმანული პრესა.

სპარტაკელების გამოსვლების გამო ბერლინში მდგომარეობა გამწვავდა. მთავარსარდალმა, სახელმწიფო თავდაცვის მინისტრმა ნოსკემ შემოიღო სამხედრო სასამართლო და ბრძანება გამოსცა, რომ ყველა ვინც იარაღით ხელში მთავრობის წინააღმდეგ იმოქმედებს, დაუყოვნებლივ დახვრიტონ.

ბერლინში სამხედრო სასამართლოს დაარსებას შემდეგი გარემოებანი უძღოდა წინ: ბერლინის აღმოსავლეთის გარეუბანში ლიხტენბერგში, სპარტაკელებმა არა ერთხელ სცადეს ხელში ჩაეგდოთ პოლიციის სამართველო, მაგრამ ყოველთვის უკუქცეულ იქნენ. ბოლოს, შაბათს შუადღის უკან, სპარტაკელებმა იერიშით აიღეს პოლიციის სამართველო, სადაც დაატყვევეს დაახლოვებით 60 კაცი, რომლებიც ავტომობილებით გაგზავნეს მახლობლათ მყოფ საომნიბუსო დეპოში, სადაც სპარტაკელთა მთავარი პუნქტი იყო. დეპოს ეზოში 57 ტყვე მხეცურათ მოკლეს, მხოლოდ სამმა კი შესძლო გაქცევა. ამას გარდა სპარტაკელებმა შესძლეს მთავრობას ჯარის ცალკე რაზმების დამარცხება, ტყვეების წაყვანა და საავტომობილო [illegible] ში ჩაგდება. ეს ტყვეებიც მხეცურათ დახოცეს. აქამდე მიღებულ ცნობების მიხედვით, სპარტაკელებს ამნაირათ დაუხოციათ 100-ზე მეტი კაცი.

კვირას ხშირი ბრძოლები იყო ბერლინის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მიუხედავათ კომუნისტების საერთო დამარცხებისა, კიდევ თავს იმაგრებდა სპარტაკელთა რამოდენიმე ბუდე, რომელიც დაბოლოს გაანადგურეს. სპარტაკელთა მთავარ ძალას ბერლინის აღმოსავლეთ ნაწილში უკან დაახევინეს ქალაქის გარე რკინის გზას ლიანდაგისკენ. ეს ძალა ჯერ კიდევ გამაგრებულია ლიხტენბერგში, რომელსაც უკანასკნელ ცნობების მიხედვით მთავრობის ჯარი ირგვლივ შემოერტყა. სპარტაკელების წინააღმდეგ აქ მოქმედებს მთავრობის დიდი ჯარი არტილერიის, ტყვიის მფრქვეველების და აგრეთვე მზვერავ და მებრძოლ ჰაეროპლანების დახმარებით.

მთავრობის მიერ მიღებულ ზომების შესახებ მსჯელობას დროს გაზეთები აღნიშნავენ, რომ საალყო წესები სამხედრო საველე სასამართლოთი ბერლინში რამოდენიმე ათეულ წლის განმავლობაში არ ყოფილა შემოღებული, ომის დროსაც კი მარტო საალყო წესები იყო შემოღებული. მხოლოდ სპარტაკელთა საშინელმა მოქმედებამ გამოიწვია ასეთ უკიდურეს ზომების მიღება.

ქრონიკა

○ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ № 7-8; ჟურნალში მოთავსებულია წერილები ქართულად:

1) სასოფლო მეურნეობა და სააგრონომიო ფაკულტეტი—ს. ქურდიანი.

2) წვრილი საერობო ერთეულის გამოჭრა გურიაში—ვ. ღლონტი.

3) ზღვაოსნობის საკითხი ჩვენში.

4) 1919 წლის ფინანსიური მიმოხილვა—მ. კოზლოვსკი.

5) ეკონომიურ—ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

6) ახალციხის მაზრის ეკონომიური მნიშვნელობა.

7) ეკონომიური ცხოვრება—ბ. კ. ნიკარისელი.

8) სოფლის ვითარება—ი. ირემაშვილი.

ბიბლიოგრაფია.

დანარჩენი წერილები რუსულ ენაზე.

ჟურნალი შეიცავს 60 გვერდს და ღირს 4 მანეთი.

○ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გ. დ. ჟურული ბაქოდან ტფილისში დაბრუნდა.

○ გაზ. „არაჩის“ მაგიერ გამოვა გაზეთი „აშხატავორი“.

○ ბერძენთა ეროვნულ სამმართველოს წინაშე (პეტრე დიდის ქ.) გუშინ თავი მოიყარა აუარებელმა მდაბიო ხალხმა ბერძნებმა წითელ დროშით და ზედ წარწერით: „ძირს სამმართველო“, „ძირს სისხლის მსმელები“. აღელვებულ ხალხის დამშვიდებას ლამობდენ სამმართველოდან ორატორები, მაგრამ ამაოთ. აღელვებულმა ხალხმა მოითხოვა სამმართველოს მთელ შემადგენლობის ფიცხლავ გადადგომა და სანამ პირობა არ ჩააკოართვეს, მანამ ხალხი არ დაიშალა.

○ ტფილისის ბაზარზე სანოვაგის სიძვირე ენით აუწერელი გახდა. საქონლის ხორცი თითქმის არ მოიძებნება. თუ არის ისეთი ჯანდაგი საქონლისა, რომ ხალხს არ მიაქვს. ღორის ხორცი სრულიათ არ მოიძებნება. ცოცხალი ინდოური 300 მანეთზე ზევით იყიდება. მწვანილი გირვანქობით იყიდება. თევზის ფასებმა ძლიერ აიწია. მკვდარ ლოქოს 7-8 მან. ყიდიან, საზანს 12 მანეთში, ასე გალინჯეთ ჯონჯოლის ფასი, რომელიც 15 კაპ. ზევით არ წასულა—იყიდება 4 მანეთში. საზოგადოთ ბაზარზე არავითარი ზომები არ არის მიღებული სიძვირის დასაწევათ.

წესდება

ელინთა ნავთის სამრეწველო და სავაჭრო სააქციო საზოგადოებისა კავკასიაში

„ბიზანტია“

საზოგადოების ძირითადი თანხა, აქციები, უფლებები და ვალდებულება მათი პატრონებისა.

§ 8. საზოგადოების ძირითადი თანხა არის 5.000.000 მან; რომელიც გაყოფილია 2000 აქციათ, თითო 2.500 მან. ზემო აღნიშნული აქციების რაოდენობა ნაწილდება დამაარსებელისა და საზოგადოებაში მონაწილეობის მისაღებად, მისდამი მოწვეულ პირთა ურთიერთ შორის შეთანხმებით.

თუ საზოგადოება შეიძენს პირველ პარაგრაფში აღნიშნულ ქონებას, მის პატრონებს

შეუძლიათ მიიღონ ფულის მაგიერ აქციები დადებული ფასით. ამ აქციების რაოდენობა გადაწყდება მათი პატრონების აქციონერთა პირველ საერთო კრებასთან შეთანხმებით.

ამ წესდების გამოქვეყნების შემდეგ, არა უგვიანეს ექვსი თვისა, თითეულ აქციაზე, გარდა იმ აქციებისა, რომლებიც საზოგადოებამ შეძენილ მამულების პატრონებს მისცა, უნდა შეტანილ იქნეს 500 მან., რომელიც ჩაწერილი იქნება შესაფერ წიგნში და შემტანიც შესაფერ კვიტანციას მიიღებს დამაარსებელის ხელის მოწერით, და შემდეგ კი, არა უგვიანეს ამის თვისა საზოგადოების მოქმედების დაწყებიდან,—სახელობითი დროებით მოწმობას.

აქციებიდან შემოსული ფული უნდა შეტანილ იქნეს სახელმწიფო ან აქციონერთა ბანკის დაწესებულებებში, სადაც საზოგადოების გამგეობის მიერ მოთხოვნამდე რჩება. შემდეგ როდესაც ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს წარედგინება მოწმობა, რომ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში შეტანილია აქციებზე პირველი გადასახადი, საზოგადოება იწყებს თავის მოქმედებას. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება შეუდგენელად ჩაითვლება და აქციების ფული სრულად უბრუნდებათ პატრონებს.

აქციებზე პირველი გადასახადის შემოტანის ვადა, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებადართვით, შეიძლება გაგრძელდეს მინისტრის მიერ დადგენილ ვადამდე. ვადა და რაოდენობა შემდეგ შესატან ფულისა დაინიშნება აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილებით, ისე რომ აქციის მთელი გადასახადი (2500 მ.) უნდა შეტანილ იქნეს არა უგვიანეს ორი წლისა საზოგადოების მოქმედების დაწყებიდან. თუ ეს არ შესრულდება, საზოგადოებამ უნდა მოახდინოს თავის საქმეების ლიკვიდაცია. შემოსატან ფულის რაოდენობა და ვადა გამოქვეყნებული იქნება სამი თვით ადრე აღნიშნულ ვადების დაწყებამდე. აქციებზე გადასახადი აღნიშნული იქნება დროებით მოწმობებზე, რომლებიც უკანასკნელ გადასახადის შეტანის შემდეგ, უნდა შეიცვალოს აქციებით. დამაარსებელის ზემოაღნიშნულ ხელწერილებისა და აგრეთვე დროებითი მოწმობების პატრონები, ხელწერილების მოწმობებზე და მოწმობების აქციებზე შეცვლამდე, აქციონერთა უფლებებით სარგებლობენ. აქციებზე შემოტანილ ფულის ჩასაწერ წიგნების წარმოება ხდება იმ წესების დაცვით, რომლებიც აღნიშნულია პ. პ. 4—10 გვ. 2166, ტ. X, ნაწ. № 1, 1914 წ. კან. კრებ. და წარედგინება შესამოწმებლად ტფილისის ქალაქის თვითმმართველობას. თუ დროებითი მოწმობის რომელიმე პატრონი არ შემოიტანს ფულს დანიშნულ ვადაზე, მას ეძლევა შეღავათი ერთი თვე, მხოლოდ საზოგადოების სასარგებლოდ უნდა გადიხადოს ერთი პროცენტი გადასახად თანხისა. თუ ამის შემდეგაც არ იქნა შემოტანილი ფული მოწმობებით, ეს მოწმობები უქმდება, რაზედაც საყოველთაოდ ცხადდება და მოწმობები კი იცვლება ახალი მოწმობებით იმავე ნომრებით. ამ ბილეთებს გაჰყიდის საზოგადოების გამგეობა. მოწმობების გაყიდვიდან შემოსული ფულით დაიფარება შემოუტანელი გადასახადი პროცენტებით და აგრეთვე სხვა ხარჯები, დანარჩენი კი ეძლევა გაუქმებულ მოწმობების ყოფილ პატრონს. დამაარსებელზე დარჩენილ დროებითი მოწმობების ან აქციების არა ნაკლები ერთი მესამედისა საზოგადოების გამგეობამ უნდა შეიტანოს შესანახად სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში. ამ დროებითი მოწმობების ან აქციების მესამე პირზე გადაცემა აკრძალულია პირველი ოპერაციოული ხანის ანგარიშის დადგენილი წესით დამტკიცებამდე არა უგვიანეს 12 თვისა (§ 35).

§ 9. პირველად გამოცემულ აქციების განაღდების შემდეგ, საზოგადოებას შეუძლიან გაადიდოს ძირითადი თანხა, აქციების დამატებითი გამოცემით, ისეთივე დადებულ ფასით, როგორიც იყო პირველად გამოცემულ აქციებზე, მხოლოდ აუცილებლად აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილებით და მთავრობის განსაკუთრებულ ნებადართვით.

შენიშვნა: 1. ახლად გამოცემულ აქციის შემძენმა, გარდა დადებული ფასისა, უნდა შემოიტანოს პრემია, რომელიც უნდა უდრიდეს საზოგადოების სათადარიგო თანხის იმ ნაწილს, რომელიც ითვლებოდა წინად გამოცემულ აქციაზე. პრემიები მოხმარდება სათადარიგო თანხის გადიდებას.

შენიშვნა: 2. ძირითადი თანხის გადიდება პირველ გამოცემის თანხამდე ე. ი. 5 მილიონ მანეთამდე, ხდება ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებადართვით.

§ 10. ახლად გამოცემულ აქციების შეძენაში უპირატესობა ეძლევა ძველ აქციების პატრონებს, შედარებით ძველ აქციების რაოდენობასთან. თუ ძველ აქციების პატრონთა დაკმაყოფილების შემდეგ კიდევ დარჩა აქციები, მათზე, ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის ნებადართვით, დაინიშნება საჯარო ხელის მოწერა.

§ 11. საზოგადოების აქციები შეიძლება იყოს, პატრონის სურვილით, ან სახელობითი, ან უსახელო.

სახელობითი აქციებზე აღნიშნულია პატრონის წოდება, სახელი და გვარი. აქციები ამოიჭრება წიგნიდან, აღინიშნება ნომრები რიგ-რიგად და მიეცემა პატრონს გამგეობის სამი წევრის, ბუჰლალტრისა და მოლარის მიერ ხელმოწერილი, საზოგადოების ბეჭდის დასმით.

§ 12. თვითეულ აქციას ახლავს კუპონის ფურცელი, რომლითაც ათი წლის განმავლობაში შეიძლება დივიდენდის მიღება; ამ კუპონზე აღნიშნულია იმ აქციების ნომრები, რომლებსაც თვითეული მათგანი ეკუთვნის და აგრეთვე აღნიშნულია წლები რიგ-რიგად. ათი წლის შემდეგ აქციების პატრონებს ეძლევათ ახალი კუპონების ფურცელი შემდეგი ათი წლისთვის.

§ 13. საზოგადოების აქციები და კუპონების ფურცლები უნდა დაიბეჭდოს სახელმწიფო ქაღალდების დასამზადებელ ექსპედიციაში.

§ 14. თუ დროებითი მოწმობის ან სახელობითი აქციის პატრონი მოისურვებს გადასცეს ის მეორე პირს, მან მოწმობა ან აქცია გადაცემითი წარწერით და შესაფერი განცხადებით უნდა წარუდგინოს საზოგადოების გამგეობას წიგნებში აღსანიშნავად. 1914 წ. გამოცემულ კანონ. კრებ. მე-X ტ. I ნაწ. მე-2167 მუხ. აღნიშნული შემთხვევებში და სასამართლოს დადგენილებით, თვით გამგეობა აკეთებს გადაცემითი წარწერებს აქციებზე და მოწმობებზე. აქციების ან მოწმობების გადაცემა წიგნებში უნდა აღინიშნოს არა უგვიანეს სამი დღისა, დღიდან გადასაცემი მოწმობის ან აქციის წარმოდგენისა, იმ შემთხვევაში კი, როცა თვით გამგეობა აკეთებს გადაცემითი წარწერას, უნდა აღნიშნულ იქნეს სათანადო დოკუმენტები, რომლებიც ამოწმებენ მოწმობის ან აქციის გადაცემას. წარმომდგენზე აქციის გადაცემა არა ფორმალურად ხდება, ამ აქციის პატრონი არის ის, ვინც წარმოადგენს.

დროებითი მოწმობა, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული, რომ გამგეობას გადასახადი მიღებული არ აქვს და ვადა კი გასულია, ასეთი მოწმობის გადაცემა აკრძალულია. ყოველგვარი მოხსენება ამ მოწმობისა ნამდვილათ არ ითვლება; ეს პირობა თვით მოწმობებში უნდა იყოს აღნიშნული.

§ 15. დროებითი მოწმობების და აქციების საბირჟო ტრიალში საზოგადოება ექვემდებარება ყველა კანონდებულებას, წესს და განკარგულებას ამ საგნის შესახებ, როგორ ამ ჟამად მომქმედს, აგრეთვე იმათ, რომლებიც მომავალში გამოიცემა.

§ 16. აქციების კუპონების გადაცემა ცალკე შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ კუპონების ვადა გასული ან მიმდინარეა. ასეთ კუპონების გადასაცემათ არ არის საჭირო გადაცემითი წარწერა ან განცხადება.

§ 17. დროებითი მოწმობების ან სახელობითი აქციებისა და მათი კუპონების, (გარდა იმ კუპონებისა, რომელთა ვადა გასული ან მიმდინარეა) დამკარგველმა წერილობით უნდა განუცხადოს ამის შესახებ გამგეობას, დაკარგულ აქციათა ან მოწმობათა ნომრების აღნიშვნით. გამგეობა დამკარგველის ხარჯით გამოაცხადებს ამ ცნობას თუ ექვსი თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან არავითარი ცნობა არ მოვიდა დაკარგულ აქციების, დროებითი მოწმობების ან კუპონების შესახებ, მაშინ მათ პატრონებს ეძლევათ ახალი აქციები, დროებითი მოწმობები ან კუპონები ძველი ნომრებით და წარწერით რომ ისინი მიცემულია დაკარგულ აქციების მაგიერ.

სახელობითი აქციების გასული ან მიმდინარე ვადის კუპონების, წარმომადგენლის აქციების და მათი კუპონების დაკარგვაზე, გამგეობა არავითარ განცხადებას არ ღებულობს, და აღნიშნულ კუპონების დამკარგველი დივიდენდის მიღების უფლებას ჰკარგავს. როცა დადგება ვადა აქციებზე ახალი კუპონის ფურცლების მიღებისა უსახელო აქციების მიხედვით, ასეთები ეძლევათ უსახელო აქციების პატრონთ.

§ 18. იმ შემთხვევაში თუ დროებითი მოწმობის ან აქციის პატრონი გარდაიცვლება, ოპეკუნები, აქციებისა და დროებითი მოწმობების პატრონებთან ერთად, ემორჩილებიან ამ წესდების საერთო წესს, და წოდების მიხედვით არავითარი განსაკუთრებული უფლებები არ აქვთ საზოგადოების საქმეში.

საზოგადოების გამგეობა, უფლება და ვალდებულება მისი.

§ 19. საზოგადოების გამგეობა შესდგება არა ნაკლებ სამისა და ხუთზე არა მეტი,—დირექტორისაგან, რომლებსაც ირჩევს აქციონერთა საზოგადო კრება. დირექტორების არჩევის ვადა აღნიშნულია მე-22 §-ში. გამგეობის ბინა არის ტფილისში.

გამგეობის სამყოფი ადგილია ქ. ტფილისში. ქალაქ ბაქოშია გამგეობის განყოფილება დირექტორ-განმკარგულებელის მეთაურობით. სხვა ადგილებშია განყოფილებანი, კანტორები და სხვა.

შენიშვნა: საზოგადო კრების დადგენილებით და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით საზოგადოების და მისი გამგეობის სამყოფი ადგილი შეიძლება სხვა რომელიმე ქალაქში იქნეს გადატანილი.

§ 20. იმ დირექტორების მაგივრად, რომლებიც ვადის გასვლამდე სამსახურს თავს დაანებებენ, ან და იძულებული არიან დროებით თავი დაანებონ თანამდებობის ასრულებას, აქციონერთა საზოგადო კრება ირჩევს იმდენ კანდიდატებს რიცხვით, რომელიც არ გადაემეტება დირექტორთა რიცხვს.

კანდიდატების არჩევის ვადა აღნიშნულია მე-22 § ში, კანდიდატები, შეუდგებიან დირექტორების მოვალეობის ასრულებას უფროსობის მიხედვით და თუ უკანასკნელი ერთნაირია—მიღებულ ხმების სიმრავლის მიხედვით და თუ მიღებული ხმებიც ერთნაირია—კენჭით მიღებულ ხმების რიცხვით. დირექტორის მაგიერი კანდიდატი ასრულებს მის მოვალეობას იმ ვადის გასვლამდე, რომელზედაც არჩეული იყო დირექტორი, მაგრამ არა უგვიანეს იმ ვადისა, რომელზედაც თითონ არის არჩეული. კანდიდატები, დირექტორების მოვალეობის ასრულების დროს სარგებლობენ დირექტორების სრული უფლებებით.

§ 21. დირექტორად ან კანდიდატად უნდა აირჩეს ისეთი პირი, რომელსაც აქვს მის სახელზე 50 არა ნაკლები აქცია, რომლებიც დირექტორების ან კანდიდატების ვადის გათავებამდე უნდა ინახებოდეს საზოგადოების კასაში, ან სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში და არავის არ უნდა გადაეცეს მანამდი, სანამ არ დამტკიცდება აქციების პატრონთა დირექტორებად და კანდიდატებათ ყოფნის უკანასკნელი წლის ანგარიში და ბალანსი. საზოგადო კრებას უფლება აქვს ზემოხსენებულ თანამდებობის ამსრულებლად აირჩიოს ისეთი პირნიც, რომელთაც მოთხოვნილზე ნაკლები აქცია აქვს, მაგრამ ისე რომ არჩეულმა ერთი თვის ვადაში უნდა შეიძინოს ზემო აღნიშნული აქცია.

§ 22. დირექტორებისა და კანდიდატების არჩევის ერთი წლის შემდეგ, ყოველ წლიურად თავისუფლდებიან თანამდებობიდან ორი ან ერთი დირექტორი და ერთი კანდიდატი, პირველად კენჭის ყრით და შემდეგ მიღების მიხედვით; იმ დირექტორებისა და კანდიდატების მაგივრად, რომლებმაც თანამდებობას თავი დაანებეს ირჩევენ ახალ დირექტრებსა და კანდიდატებს; ძველი დირექტორებისა და კანდიდატების არჩევა ხელახლად შეიძლება.

§ 23. დამაარსებელის მიერ პირველ კრების მოწვევისა და ყოველ წლივ საერთო წლიური კრების შემდეგ, დირექტორები ირჩევენ თავის წრიდან თავმჯდომარეს და მის მოადგილეს, გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგს.

§ 24. გამგეობის წევრები მიიღებენ გასამრჯელოდ წმინდა მოგებიდან რამდენიმე პროცენტს, ან განსაზღვრულ ჯამაგირს, ან ერთსაც და მეორესაც. ჯამაგირის რაოდენობას განსაზღვრავს აქციონერთა საერთო კრება.

§ 25. გამგეობა, კარგად მოწყობილ საკომერციო სახლის მზგავსად, განაგებს საზოგადოების მთელ საქმეებს და თანხებს. მის მოვალეობას შეადგენს:

ა. აქციებზე შემოსულ ფულის მიღება და დროებითი მოწმობების მიცემა და როცა აქციებზე მთელი გადასახადი იქნება შემოტანილი, მათი აქციების მიცემა;

ბ. კომერციული წესით, ბუჰლალტერიის, კასის და მიწერ-მოწერის მოწყობა და აგრეთვე მე 35—37 §§ თანახმად, ანგარიშის, ბალანსის, ნუსხისა და მოქმედების გეგმის შედგენა;

გ. საზოგადოებისთვის საჭირო მოსამსახურეთა მიღება, მათთვის საქმის მიცემა ჯამაგირის დანიშვნა და აგრეთვე მათი დათხოვნაც;

დ. მოძრავ ქონების ყიდვა გაყიდვა როგორც ნაღდ ფულზე, აგრეთვე ნისიადაც;

ე. საწყობების და ბინების ქირავება;

ვ. საზოგადოების ქონების დაზღვევა;

ზ. საზოგადო კრების მიერ დადგენილ თამასუქებისა და სხვა სასწრაფო ვალდებულებათა მიღება და გაცემა;

თ. საზოგადოების სახელზე შემოსულ თამასუქების დისკონტი;

ი. საზოგადოების სახელით ხელშეკრულებისა და პირობების დადება, როგორც სახაზინო უწყებებთან და სამმართველოებთან, აგრეთვე კერძო საზოგადოებებთან და ამხანაგობასთან, საქალაქო, საერობო და საწოდებრიო დაწესებულებებთან და კერძო პირებთან;

განცხადებები

მამია მირონის ძე ჩიგოგიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა, სოც დემ. პარტიული ბარათი პირველი რაიონიდან აღებული რევოლვერის ტარების მოწმობა ჯავშნიან მატარებლის შტაბიდან მიღებული № 3368. მპოვნელს უმორჩილესად ვსთხოვ დამიბრუნოს ზემო მოხსენებული საბუთები შემდეგი მისამართით: ტფილისის საქონლის სადგურის კანტორა ჩიგოგიძეს.

325 3—3

---

4 მარტს მოიპარეს ვექილობა, მიღებული ნავთის სამრეწველო და სავაჭრო საზოგადოება „პეტროლი“დან დავით ფიშძეინის სახელზე. ვექილობა შედგენილია 3 მარტს 1919 წ. ნოტარიუს ციმერმანთან რეესტ. № 1691. ვექილობა გაუქმებულად ითვლება. საზოგადოება „პეტროლის“ს რწმუნებულებით ს. შეინერმანი. 339 3—2

აბელ აბელის ძე კალატოზიშვილი და მისი მეუღლე იულია მელქისადექის ასული აცხადებს რომ მათ დაჰკარგეს უვადო პასპორტები, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

329. 3—3

ტერ-მხიტაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი № 78115 10 მან. 341 3—2

გორის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ფარსადან დავითის ძე ხუდადოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ხუდადოვის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში.

364 3—3

---

15 მარტს რადიოსადგურების ცალკე ასეულის შტაბში ნიკოლოზის ქ. № 37, საჯაროდ გაიყიდება ცხენი. მსურველს შეუძლია მობრძანდეს შტაბში აღნიშნულ რიცხში.

376 3—3

სამსონ სოლომონის ძე ოთაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

343 3—1

ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების

ჩვეულებრივი წლიური კრება

დანიშნულია 27 მარტს, საღამოს 7 საათზე, საზოგადოების სადგომში.

განსახილველი საგნებია:

1) საბჭოს მოხსენება.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) 1918 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
4) 1919 წლისათვის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
5) არჩევა: გამგეობის წევრის მორიგეობით გასულ გ. მ. ლასხიშვილის მაგიერ, სარევიზიო კომისიისა და მათის კანდიდატებისა. 389 3—1

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.